

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ  
განხორციელებული საქმიანობის 2020 წლის შემაჯამებელი ანგარიში

---

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას დაგეგმილი ჰქონდა ძალზე საინტერესო აქტივობები, თუმცა შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე იძულებული გავხდით შეგვეცვალა მკითხველებთან ურთიერთობის ფორმები. პირველ რიგში, მთლიანად შენობაში ჩავატარეთ დეზინფექცია როგორც პირველ, ისე მეორე სართულზე, აბონემენტზე, სამკითხველო დარბაზში, საცავებში, საბავშვო ოთახში. დავიწყეთ თანამშრომელთა გამოცხადება გრაფიკის მიხედვით, თუმცა მალევე მდგომარეობის გამწვავების გამო, იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა მუშაობა. თანამშრომლები გადავიყვანეთ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, რაც ჩვენს შემთხვევაში გამოიხატება მკითხველებთან დისტანციური ურთიერთობით, კერძოდ, მიმდინარეობს მკითხველების გაფრთხილება დაგვიანებული წიგნების თაობაზე, დავებმარეთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას ოზურგეთელი მკითხველების მიერ წიგნების დაბრუნებაში.

დახმარება გაეწია სტუდენტებსა და მოსწავლეებს ონლაინ ლექციებსა და გაკვეთილებში ჩართვაში. ბიბლიოთეკის მიმდებარედ მცხოვრებთ საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ ბიბლიოთეკის უფასო ინტერნეტით (vi-fi), აუცილებლობის შემთხვევაში სტუდენტებსა და მოსწავლეებს ვაწვდიდით მათთვის აუცილებელ წიგნებს და საჭირო ინფორმაციებს.

ზაფხულში პატარა მკითხველებისთვის მოვაწყვეთ ღია სამკითხველო, სადაც ვაწვდიდით საბავშვო წიგნებს, გვიზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს პანდემიის დროს წაკითხულ წიგნებთან დაკავშირებით. ტელეფონისა და Fb-ის საშუალებით ვაწვდიდით მკითხველებს ინფორმაციებს ახლად მიღებულ წიგნებთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკის რამდენიმე თანამშრომელი მუშაობდა ელექტრონულ კატალოგიზაციაზე.

მომავალი წლიდან იგეგმება სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების ელექტრონული კატალოგიზაცია, რისთვისაც მათ ჩავუტარეთ ონლაინ-ტრენინგი.

ასევე ტრენინგები ჩატარდა: ბიბლიოთეკები პანდემიის პერიოდში, წიგნადი ფონდების შენახვისა და დაცვის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით მოწვეული ტრენერების მიერ.

აქტიურად ჩავერთეთ ონლაინ-ფორუმებში ბიბლიოთეკების წინაშე მდგარ გამოწვევებთან დაკავშირებით, ასევე გიორგი კველიძის მიერ ორგანიზებულ ფორუმში შევხვდით გერმანიაში მცხოვრებ ახალგაზრდა ქართველ მწერალს ნინო ხარატიშვილს

ბიბლიოთეკაში გვესტუმრა ასევე ახალგაზრდა სამტრედიელი პოეტი ლაზარე ნინუა, რომლის ლექსებიც დავბეჭდეთ „ლიტერატურულ გურიაში.“

წლის განმავლობაში ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ შეძენილ იქნა 4 000 ლარამდე ღირებულების წიგნი, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ საჩუქრად გადმოგვცა 1 100 ლარის ღირებულების ვაუჩერი, რომლითაც შევიძინეთ წიგნები სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის, რომლებიც ბიბლიოთეკურად დამუშავების შემდეგ გადაეცემა მათ. შეძენილ იქნა ინვენტარი-სკამები, წიგნის სტელაჟები, ჩატარდა მცირე რემონტი.

სექტემბერ-ოქტომბრის თვეში ბიბლიოთეკაში ჩატარდა ტრენინგები საარჩევნო კომისიების წევრებისათვის. ტრენინგის წინა პერიოდში ბიბლიოთეკაში ჩატარდა დეზინფექცია, გათვალისწინებული იყო კოვიდ-19 -თან დაკავშირებული ყველა ინსტრუქცია

ზაფხულის განმავლობაში აქტიურად ჩავერთეთ პროექტის „იყავი თანამმართველი“ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში ( განაცხადებების მიღება-დამუშავება, შეხვედრების ორგანიზება, კონსულტაციები და ა.შ.). ყველა განაცხადის ავტორთან ვაწყობდით შეხვედრებს, ვებმარბოდით დარეგისტრირების პროცესში და ა.შ. აგვისტოში ჩავატარეთ შეხვედრა გამარჯვებული პროექტების ავტორებთან

საანგარიშო პერიოდში იგეგმებოდა ორი სასოფლო ბიბლიოთეკის გახსნა. აღდგენილია ნატანების სასოფლო ბიბლიოთეკის ფუნქციონირება. ადგილზე შევარჩიეთ შესაბამისი ფართი, მოხდა წიგნების დალაგება და მიმდინარეობს მათი გატარება საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკის თანამშრომელს გავუწიეთ დახმარება და ვაგრძელებთ კონსულტაციებს.

ამჯერად, ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელი გადაყვანილია დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, უსაფრთხოების მიზნით, თუმცა ვაგრძელებთ ახალ წიგნებზე მუშაობას.

შეძენილი გვაქვს ყველა საჭირო საშუალება, რაც მუშაობის გაგრძელებისთვისაა საჭირო. ველოდებით რეგულაციებს ბიბლიოთეკის სრულფასოვანი მუშაობის აღდგენისათვის

ა.(ა).ი.პ .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური

ბიბლიოთეკის დირექტორი

ლ.ბაქანიძე